ტელეკომპანია GDS-ზე გასული გადაცემები

ტელეკომპანია GDS-ზე პირველი სექტემბრიდან დაიწყო გადაცემათა ციკლი, რომელშიც საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პირდაპირ ეთერში ხვდება ქვეყნის ათივე რეგიონის ადგილობრივ ჟურნალისტებს, გადაცემა წინასაარჩევნოდ ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს გავა ეთერში.

გადაცემის ფორმატი ანონსიდანვე გულისხმობდა მმართველი პარტიის სასარგებლო აგიტაციას. ვიდეორგოლიდან ჩანს, რომ გადაცემების ციკლში ბიძინა ივანიშვილი სხვა საკითხებთან ერთად ისაუბრებს თუ „რატომ არ ჰყავს „ქართულ ოცნებას" ალტერნატივა." ანონსის ვიდეოში დემონსტრირებულია „ქართული ოცნების" საარჩევნო ნომერი და სიმბოლიკა. გადაცემის ფორმატიდან და შინაარსიდან ცხადად იკვეთება, რომ გადაცემის მთავარი მიზანი მმართველი პარტიის სასარგებლოდ აგიტაციაა და თავისი არსით ფაქტობრივად არ განსხვავდება წინასაარჩევნო რეკლამისაგან.

თუ გადაცემა ფორმალურადაც სარეკლამო სტატუსის მატარებელი იქნებოდა, მას უნდა დაეკმაყოფილებინა „საარჩევნო კოდექსის" 50-ე და 51-ე მუხლით განსაზღვრულ

წინასაარჩევნო რეკლამის რეგულაციები, რომელთა მიხედვითაც, რეკლამა შეიძლება იყოს ფასიანი ან უფასო, უნდა გააჩნდეს განსაზღვრული ქრონომეტრაჟი, მითითებული უნდა ჰქონდეს ინფორმაცია დამკვეთის შესახებ და ა.შ.

ვინაიდან გადაცემა ოფიციალური წინასაარჩევნო რეკლამის სტატუსით არ გადის, ეს ქმედება შესაძლოა წარმოადგენდეს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებული იურიდიული პირისგან უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით მიღებული მომსახურებას, რაც იმავე ნორმის თანახმად შემოწირულებად ითვლება (იურიდიულ პირებს უფლება აქვთ პარტიას წელიწადში 120 000 ლარი შესწირონ). აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ თითოეული გადაცემა ტელეკომპანია GDS-ის მხრიდან „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ სასარგებლო განხორციელებულ შემოწირულებად უნდა ჩაითვალოს.

აღნიშნული სატელევიზიო ფორმატი წინასაარჩევნო პერიოდში უგულებელყოფს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებულ „~~საქართველოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის”~~ რამდენიმე პრინციპს. მათ შორის, მაუწყებელთა ქცევის კოდექსი მოუწოდებს მაუწყებლებს „საარჩევნო პერიოდში გამიჯნოს სახელმწიფოებრივი და პარტიული ფუნქციების შესრულება, რათა დაიცვას მიუკერძოებლობის, ობიექტურობის პრინციპები და უზრუნველყოს ბალანსი.” აღნიშნული ფორმატი კი ბალანსის დაცვას არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს შორის ფაქტობრივად გამორიცხავს, რადგან გადაცემების ციკლი მთლიანად მმართველ პოლიტიკურ გუნდთან ასოცირებულ პირთან ინტერვიუებს გულისხმობს. ასევე საყურადღებოა, რომ გადაცემებში ხშირად გამოითქმის სხვა პოლიტიკური სუბიექტების მიმართ კრიტიკული მოსაზრებები, თუ ბრალდებები, ხოლო მათზე რეაგირების ან პასუხის გაცემის საშუალებას იგივე ფორმატი სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს არ აძლევს.

საიამ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად აუდიტის სამსახურსა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას საკითხის შესწავლისაკენ მოუწოდა.

2016 წლის 14 სექტემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ არასამთავრობოების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.